გასვლის თარიღი: 18/10/2021 წ

შემოსვლის თარიღი: 09/07/2021 წ

**დასკვნა**

ქ. ბათუმში, ვახტანგ გორგასლის ქ. №99-ში თანასაკუთრებაში არსებულ 441 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.23.30.016) მდებარე საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: მისი ტექნიკური მდგომარეობა მწვავე ავარიულია. შენობა კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე მიეკუთვნება კაპიტალურობის IV ჯგუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს **50** წელს. ფაქტობრივად შენობა ამორტიზირებულია. მისი ნაწილი დაშლილია და დარღვეულია სივრცითი სიხისტე. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვთ მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი. უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მოხდეს შენობის დემონტაჟი.

დაწვრილებით განმარტებები გაკეთებულია დასკვნის კვლევით ნაწილში.